საქართველო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის
გრძანება №310

ქ. ფოთი „28" აპრილი 2016 წ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, ფარნავაზ მეფის, ლიეპაიას, ჭანტურიას, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე და სამეგრელოს მოედანზე მდებარე 3.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №21/58 დადგენილების შესაბამისად და ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, ფარნავაზ მეფის, ლიეპაიას, ჭანტურიას, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე და სამეგრელოს მოედანზე მდებარე 3.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 მარტის №6/14 განკარგულების, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და შპს ,,აუდიტორული ფირმა ლაზიკა აუდიტს" (გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული) შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2015 წლის 13 თებერვლის N27 ხელშეკრულების საფუძველზე მომზადებული 2015 წლის 07 დეკემბრის №02/605, №02/606, №02/607 და №02/608 აუდიტორული დასკვნის და. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და შპს ,,აუდიტორული ფირმა ლაზიკა აუდიტს" (გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული) შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2016 წლის 19 თებერვლის N34 ხელშეკრულების საფუძველზე მომზადებული 2016 წლის 26 თებერვლის №03/042 აუდიტორული დასკვნის საფუძველზე

ვბრძანებ:

მუხლი 1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე (მიწის (უძრავი

ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.753), ლიეპაიას ქუჩაზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.09.639), ჭანტურიას ქუჩაზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.15.022), დავით აღმაშენებლის ქუჩაზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.09.685) და სამეგრელოს მოედანზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.754) მდებარე 3.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით.

მუხლი 2. ქალაქ ფოთში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე მდებარე 3.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.753) საწყისი წლიური ქირის საფასური განისაზღვროს **27.00** (ოცდაშვიდი) ლარით, ,,ბე" განისაზღვროს **5.40** (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარით, ხოლო **ბიჯი** განისაზღვროს **500.00** (ხუთასი) ლარით; ქალაქ ფოთში, ლიეპაიას ქუჩაზე მდებარე 3.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.09.639) საწყისი წლიური ქირის საფასური განისაზღვროს **27.00** (ოცდაშვიდი) ლარით, ,,ბე" განისაზღვროს **5.40** (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარით, ხოლო **ბიჯი** განისაზღვროს **500.00** (ხუთასი) ლარით; ქალაქ ფოთში, ჭანტურიას ქუჩაზე მდებარე 3.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.15.022) საწყისი წლიური ქირის საფასური განისაზღვროს **27.00** (ოცდაშვიდი) ლარით, ,,ბე" განისაზღვროს **5.40** (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარით, ხოლო **ბიჯი** განისაზღვროს **500.00** (ხუთასი) ლარით; ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 3.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.09.685) საწყისი წლიური ქირის საფასური განისაზღვროს **27.00** (ოცდაშვიდი) ლარით, ,,ბე" განისაზღვროს **5.40** (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარით, ხოლო **ბიჯი** განისაზღვროს **500.00** (ხუთასი) ლარით; ქალაქ ფოთში, სამეგრელოს მოედანზე მდებარე 3.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.754) საწყისი წლიური ქირის საფასური განისაზღვროს **27.00** (ოცდაშვიდი) ლარით, ,,ბე" განისაზღვროს **5.40** (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარით, ხოლო **ბიჯი** განისაზღვროს **500.00** (ხუთასი) ლარით.

მუხლი 3. სარგებლობაში (იჯარა) გადაცემის ვადად განისაზღვროს 5 (ხუთი) წელი (სარგებლობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან).

მუხლი 4. განისაზღვროს ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი, კერძოდ: 2016 წლის 04 მაისის 16:00 საათიდან 2016 წლის 19 მაისის 16:00 საათამდე.

მუხლი 5. აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ,,ბე" ეთვლება სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო წლის გადასახდელი ქირის ოდენობაში.

მუხლი 6. აუქციონში გამარჯვებულმა პირმა აუქციონზე მის მიერ შემოთავაზებული თანხის (ერთი წლის საიჯარო ქირის) მთლიანად დაფარვა (პირველი საიჯარო წელი) უნდა უზრუნველყოს აუქციონის დასრულებიდან 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 7. აუქციონში გამარჯვებულმა პირმა წლიური საიჯარო ქირა უნდა გადაიხადოს ყოველწლიურად, ყოველი ახალი საიჯარო წლის არაუგვიანეს ნოემბრისა.

მუხლი 8. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, ოქმის საფუძველზე, არა უმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში აუქციონატორთან გააფორმოს სარგებლობის ხელშეკრულება.

მუხლი 9. თანხა აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 300423047 (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავალი).

მუხლი 10. ელექტრონული აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს სსიპ ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ".

მუხლი 11. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს სსიპ ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" ვებგვერდზე www.eauction.ge.

მუხლი 12. ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადასაცემი უძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს სსიპ ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" ვებგვერდზე www.eauction.ge და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე www.poticity.ge.

მუხლი 13. სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადასაცემი უძრავი ქონების შესახებ ინფორმაციის სსიპ ,,საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" ვებგვერდზე www.eauction.ge-ზე განთავსება უზრუნველყოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურმა, ხოლო ინფორმაციის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე www.poticity.ge-ზე განთავსება უზრუნველყოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილებამ.

მუხლი 14. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადასაცემ უძრავ ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა.

მუხლი 15. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ნიკოლოზ გრიგოლიამ.

მუხლი 16. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 17. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი **ირაკლი კაკულია**

ბრძანება ეგზავნება: საქმისწარმოების განყოფილებას, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილებას, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურს, ბატონ ნიკოლოზ გრიგოლიას.

შემსრ. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების სამსახური